

თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის

მულტიმედიური ცენტრი

დებულება

მიზნები

1. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მულტიმედიური ცენტრის (შემდგომში „მულტიმედიური ცენტრი“) მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ენობრივი უნარ-ჩვევების დახვეწაში ხელშეწყობა.

ბაზა

2. მულტიმედიური ცენტრი განთავსებულია თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (სულხან ცინცაძის 22, მეშვიდე სართული, ბიბლიოთეკა).

3. მულტიმედიური ცენტრი მულტიმედიური რესურსები მოიცავს ერთ შესაბამის კომპიუტერს, ყურსასმენებს, სასწავლო ვიდეოფილმებს, აუდიო-მასალებს, ელექტრონულ სასწავლო დოკუმენტურ მასალას, სასწავლო კომპიუტერულ პროგრამებს განთავსებულს შესაბამის ელექტრონულ მატარებელზე (აუდიო კომპაქტ-დისკები, DVD დისკები).

მულტიმედიური ცენტრით სარგებლობა

4. მულტიმედიური ცენტრით სარგებლობა ადგილზე შეუძლიათ უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს.

5. ადგილზე არსებული რესურსებით ცალკეულ სტუდენტს სარგებლობა შეუძლია კვირაში არაუმეტეს 4 საათისა (ცალკეულ შემთხვევებში, უფრო დიდი ხნის განმავლობაში, თუ სხვა სტუდენტების მხრიდან მოთხოვნა ნაკლებია).

6. სტუდენტს შეუძლია მულტიმედიურ ცენტრში არსებული მასალების, არაუმეტეს 2 ერთეულის (აუდიო კომპაქტ-დისკი ან DVD დისკის) ერთი კვირით ბიბლიოთეკიდან გატანა.

7. გატანილი მასალის სტუდენტის მიზნით დაზიანების შემთხვევაში, სტუდენტი იხდის მასალის აღდგენის საფასურს.

8. მულტიმედიურ ცენტრიდან გატანილ მასალებზე ვრცელდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წესები.